მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში პერსონა ნონ–გრატად გამოცხადდა



საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში პერსონა ნონ–გრატად გამოცხადდა. სააკაშვილის გვარი იმ 36–კაციან სიაში ფიგურირებს, რომლებსაც ქვეყნაში შესვლა ეკრძალებათ. ამავე სიაში არიან ექსპერტები ამერიკიდან. შესაბამისი მოთხოვნით უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს და უსაფრთხოების სამსახურს პარტია „რეგიონების“ წარმომადგენელმა ოლეგ ცარიოვმა მიმართა.

რადას წევრის განცხადებით, სავსებით რეზონანსულ შეშფოთებას იწვევს უცხოელი პოლიტტექნოლოგების გახშირებული ვიზიტები, რომელთა ქმედებები ნაციონალური უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველად იქცევა. ცარიოვის თქმითვე, სააკაშვილს უკრაინაში არაფერი ესაქმება, უმჯობესია წავიდეს საქართველოში და ქართველ ხალხს შეხვდეს. დეპუტატის მტკიცებით, საქართველოს ექს–პრეზიდენტი ჩავიდა თავის გუნდთან ერთად, ისინი დაფუძნდნენ უკრაინაში და გახდნენ მოდერატორები რევოლუციის, რომლის ორგანიზებასაც ოპოზიცია გეგმავდა. რადას ოპოზიციური პარტიის „ბატკივშინას“ წარმომადგენლის შეფასებით, ასეთ ქმედებებს შეიძლება სერიოზული საერთაშორისო შედეგი მოჰყვეს. მათი თქმით, თუ ამერიკა, ევროკავშირი და საქართველო უკრაინის პრეზიდენტს, პრემიერს და მათ ახლობლებს აუკრძალავენ ქვეყანაში შესვლას, ვიქტორ იანუკოვიჩს ჩასასვლელი ჩრდილოეთ კორეაშიღა დარჩება.